თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართ. სოციალისტ-ფედერალისტ. სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34

№ 318
შაბათი ოქტომბრის 14
1922 წ.

ტფილ. ფასი 50ას მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ამა წლის ოქტომბრის 12-ს დილის 6 საათზე უდროოდ მიიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ

ნინა დავითის ასული

სტურუასი

რასაც აუწყებს მწუხარებით ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ მეუღლე ისიდორე, შვილები მედია და ნელლი, დედამთილი ნინო და დედ-მამა ექიმი დავითი და ოლღა გედევანიშვილები. პანაშვიდი ბინაზე: საპიორის ქ. № 32 საღამოს 6 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება შაბათს 14 ოქტომბერს 4 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 329—2—2

სახელმწიფო ოპერის თეატრი
სეზონი გაიხსნება კვირას 15 ოქტომბერს:
აბესალომ და ეთერი.
სამშაბათს, 17 ოქტომბერს
კ ა რ მ ე ნ ი.
ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს:
სევილიელი დალაქი.
1—1

## მუდანიის კონფერენციის შედეგები

დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრს წარმოადგენს ახლო-აღმოსავლეთის ამბები. აქ ინტერესები და ინტერესები ისეთი კვანძები, რომელთაც საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი ღირებულება აქვს. ახლო აღმოსავლეთი უკვე დიდი ხანია წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის კვანძს. აქ პირობების ცვლილებამ შეუძლია თავისი დაღი დაასვას მთელი მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობასა და ევროპის შინაარსი [illegible].

აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა ახალ საერთაშორისო ომით ემუქრებოდა მთელს მსოფლიოს. აქ იმდენად დაიძაბა ძალები და იმდენად შეჯახება ამოფეთქებული ელემენტი, რომ სრულიად ადვილი მოსალოდნელი იყო იგი მსოფლიო ომად გადაქცეულიყო. ქემალ ფაშის არმიის ძლევა-მოსილმა მსვლელობამ და საბერძნეთის მოულოდნელმა დამარცხებამ ისეთი პირობები შექმნა სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის გარშემო, რომ ბერძენთ-ოსმალეთა ომი ინგლის-ოსმალოს ომად ლამობდა გადაქცევას, ეს კი თავის მხრით გამოიწვევდა ახალ გადაჯგუფებას მსოფლიო ძალთა შორის და მათ ახალ დაპირისპირებას.

მაგრამ ინგლისის ბატონობისათვის ყველაზედ უფრო დამღუპველი იყო იარაღის საშუალებით თავისი პოლიტიკის გატარება, ამიტომ მან მშვიდობიანი გზით დაიწყო ლაპარაკი. ამას მოითხოვდა, როგორც მისი სამხედრო მდგომარეობა აღმოსავლეთში, ისე საერთო პოლიტიკური ინტერესები. პარიზის მოკავშირეთა თათბირზედ ლორდ-კერზონის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ მთავარი შეთანხმებული ხაზი მოეძებნა საფრანგეთ-იტალიასთან და შეთანხმებულად გამოსულიყვნენ ოსმალეთის საკითხში. პარიზის თათბირმა ფაქტიურად გადასინჯა სევრის ხელშეკრულება და ახალი მშვიდობიანი ტონით დაუწყო ოსმალეთს საუბარი. რასაკვირველია, პარიზის თათბირის დადგენილებანი ვერ დააკმაყოფილებდა ოსმალეთის ეროვნულ პროგრამას, რომლის მთავარი შინაარსი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენისათვის არის მიმართული. მაგრამ ისიც მაქვს მხედველობაში, რომ მთელი თორმეტი წლის განმავლობაში ოსმალეთი განუწყვეტლივ ომების ფერხულში იმყოფებოდა და ძლიერ დასუსტებული არის. მაგრამ მისთვის პირდაპირ შებმა მოკავშირეებთან ძლიერ ძნელი იყო და გასაკვირი არ არის, რომ მოკავშირეებს დასთანხმდა ახალ პირობებზედ და საერთო კონფერენციის შესახებ.

ინგლისის პოლიტიკის მთავარი აზრი იყო უომრად გადაწყვეტა საკითხისა თავის სასარგებლოდ. ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა თავისი სამხედრო ესკადრა გაეძლიერებინა მარმარილოსა და შავ ზღვაში და მასთანვე ნეიტრალური ზონის გამაგრებას შესდგომოდა. ინგლისის ერთი ცნობილი ჟურნალი გარკვევით აღნიშნავდა, რომ დიდმა ბრიტანეთმა უნდა ისარგებლოს სამშვიდობო მოლაპარაკებით და გააძლიეროს თავისი სამხედრო ძალები ახლო აღმოსავლეთში. ჟურნალის აზრით, ასეთ პოლიტიკას ორი მთავარი დანიშნულება ექნება. პირველი ის, რომ სამშვიდობო კონფერენციაზედ ინგლისს შეძლება ექნება ბრძანებითი ტონით ილაპარაკოს და აიძულოს მოწინააღმდეგენი ინგლისის პირობებზედ დათანხმდნენ. იმ შემთხვევაში თუ საკითხი მშვიდობიანი გზით არ გადაწყდება ინგლისი მზად იქნება ომისათვის. ასეთ პოლიტიკას ადგას ინგლისი, მშვიდობიანი პროგრამის დროსაც მან გააძლიერა თავისი სამხედრო ძალები და სრუტეებით არ ჰფიქრობს ხელი აიღოს ახლო აღმოსავლეთში ბატონობაზედ.

მაგრამ პირობები და გარემოება შეიცვალა და დღეს უკვე მშვიდობიანი მოლაპარაკების პერიოდში ვიმყოფებით. „დეილი ხრონიკლის" აზრით, კრიზისი დასრულებულია. რასაკვირველია კრიზისის დასრულებაზედ ნაადრევი არის ლაპარაკი ჯერ-ჯერობით, ნიშანდობლივია ის, რომ საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიან პერიოდში შედის და მუდანიში უკვე შემუშავდა წინასწარი ომის შესაწყვეტად. პარიზსა და ლონდონში მუდანიის შეთანხმების ხელის მოწერას კმაყოფილებით შეხვდნენ.

მუდანიის შეთანხმების მთავარი მუხლები შეეხება ფრაკიასა და ნეიტრალური ზონის საკითხს. თანახმად ამ შეთანხმებისა საბერძნეთის ჯარები გაყვანილი უნდა იქმნეს 14 დღის განმავლობაში ფრაკიიდან; 30 დღის შემდეგ შემოღებულ უნდა იქმნეს ოსმალეთის ადმინისტრაცია, რომელსაც მოკავშირეები გადასცემენ მთელს დაწესებულებებს. თავის მხრით ოსმალებმა უნდა გასწმინდონ ნეიტრალური ზონები, რომლის ხაზი გაყვანილია 10 კილომეტრზედ სრუტეებიდან; ამის შემდეგ იწყება ეგ მილიტარული ზონა. ნეიტრალური ზონა, იზმიდთან გადის იზმიდის კუნძულზედ და სხვა. ანგორის მთავრობა მოვალეა გაიყვანოს ჯარები ფრაკიაში და არ მოათავსოს იქ ახალი ჯარები.

ამ გვარად წინასწარი პირობები უკვე შეკრულია. საბერძნეთი იძულებული ხდება დასთანხმდეს ბოლოს და ბოლოს ასეთ პირობებს. რასაკვირველია ამ პირობებით არ სწყდება სრუტეებისა და მთელი ოსმალეთის ბედი, რომელიც უნდა გაარჩიოს სამშვიდობო კონფერენციამ. როგორც ირკვევა, მოწვეული იქნება ორი კონფერენცია—ერთი სკუტარში და მეორე სპეციალური კონფერენცია სრუტეების საკითხის შესახებ, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებს რუსეთი, ბულგარეთი, უკრაინა და საქართველოც. ანგორის ცნობაც ადასტურებს იმას, რომ მუდანიის კონფერენციაზედ ირჩეოდა საკითხი რუსეთის მონაწილეობის შესახებ მომავალ კონფერენციაზედ და ინგლისმა ამის შესახებ განაცხადა თავისი თანხმობა.

ამ შეთანხმებასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს დასცალონ თავიანთი ჯარები საბოლოო ზავის შეკვრამდე კონსტანტინოპოლში, გალიპოლსა და ჩანაკში.

ამ რიგად უკვე წინასწარი პირობებით [illegible] ახლო აღმოსავლეთის კონფერენციისა და ოსმალეთის საკითხის გადაჭრისათვის.

ქემალ ფაშის გამარჯვებამ ფრონტებზედ აიძულა მოკავშირეები დათმობის გზას დადგომოდნენ ოსმალეთის მიმართ. მაგრამ ქემალის ორი გამარჯვება ხდება წინადაღ კონსტანტინოპოლის მთავრობამ ქედი მოიხარა მის წინაშე და მთელი ძალა უფლებისა გადასცა ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას. სულთანი მაჰმედ 5 ემ თანხმობა განაცხადა ტახტიდან გადადგომის შესახებ და ანგორის მთავრობაზედ ძალაუფლების გადასაცემად. ანგორამ თანხმობა გამოაცხადა ასეთს დათმობაზედ და გაუკეთა ყველა ის შეთანხმებები, რომელიც მიღებული იყო რუსეთის ხელშეკრულების დადების დღიდან.

ეს არის უდიდესი გამარჯვება ქემალისტური პოლიტიკისა. დღეს მთელი ოსმალეთის წარმომადგენლად და მისი ნების გამომხატველად უნდა ჩაითვალოს, როგორც პრაქტიკულად, ისე ფორმალურადაც ოსმალეთის დიდი ეროვნული კრებაც. მაგრამ ოსმალეთის წინაშე კიდევ უფრო დიდი დაბრკოლებები სდგას და მან უნდა შესძლოს მათი გადალახვა ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზედ უდიდესი გამარჯვების მიღწევით.

Sanus

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ხალხთა ლიგა და სრუტეები.** „ტაიმსი" ეხება ინგლისის მთავრობის მიერ ხალხთა ლიგისთვის სრუტეების გადაცემის წინადადებას და სწერს: „წინადადება, რომ ხალხთა ლიგამ თავის თავზე აიღოს ეს საქმე, მნიშვნელოვნად აძნელებს ამ დაწესებულების ავტორიტეტს და ვალდებულებას. მაგრამ ცხადია, რომ ასეთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს მხოლოდ მორალური ავტორიტეტი, არ შეუძლია გახდეს სრუტეების დარაჯი [illegible]. ამისთვის საჭიროა სამხედრო ძალა, ხოლო ხალხთა ლიგას კი არ შეუძლია დაიჭიროს არც ერთი კაცი და არც ერთი ზარბაზანი.

საფრანგეთი ყოველთვის გამოსთქვამდა ასეთი ორგანიზაციის აბსურდობის წინააღმდეგ თავის შეხედულებებს. არც ღირსებასა და არც სარგებლობას არ მატებს ხალხთა ლიგას, თუ მას მიმართავენ ისე, როგორც ამას შვრება ზოგიერთი სახელმწიფოები, [illegible] ქმნიან რამისგან კონსპირატულს ან დიპლომატიურ საქმეთ.

**ინგლისი და ქრისტიანული უმცირესობა.** ახლო აღმოსავლეთის საკითხის ძველმა მცოდნემ მანჩესტერში მოწვეულ მიტინგზე განაცხადა: „გასაკვირი იქნებოდა, რომ ვისმეს არ დაეჯერებინა, რომ ლოიდ-ჯორჯის მთავრობა გადასწყვეტს დაიცვას ქრისტიანული უმცირესობა; რომ ამაში ვინმე დარწმუნდეს საჭიროა მოკლე მეხსიერება რომ ჰქონდეს. გადამარჯვებულ ოსმალოებზე. ახლო აღმოსავლეთი ჩვენ ფეხქვეშ იყო და ადვილად შეგვეძლო ქრისტიანულ უმცირესობის განთავისუფლება, მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით, ჩვენ პირველ რიგში გართული ვიყავით ჩვენი ტერიტორიალური ძლიერების განსაფართოებლად და ოსმალეთის კაპიტალისტური ექსპლოატაციით. უმცირესობანი მოკავშირეებიდან მოტყუებულნი დარჩნენ.

—

**„ოსმალეთმა რუსეთთან ერთად უნდა იმოქმედოს"** ანგორის გაზეთი „ოგიუსტ" უპირისპირებს რა უკანასკნელ მოკავშირეთა და რუსულ ნოტებს სრუტეების საკითხის შესახებ, სწერს:

„ანტანტის ნოტა არის მხოლოთ მანევრი, რომელსაც მიზნათ აქვს შექმნას თავისთვის მხოლოდ სულის მოთქმა იმისთვის, რომ მოიფიქროს ძალები. ანტანტას სურს განზე დასტოვოს რუსეთი სრუტეების საკითხში. მაგრამ ოსმალეთი მუდამ მოხარული არის იქონიოს საქმე კომუნისტურ რუსეთთან. რუსეთის კომუნისტებმა დახმარება გაუწიეს ოსმალებს ყველაზე მძიმე წუთებში. დასავლეთის სახელმწიფოები ხელოვნურათ ქმნიან მღელვარებას შუა აზიაში, რათა მიაწერონ მისი ინიციატივა ოსმალეთს იმ მიზნით, რომ დავა ასტეხონ ანგორისა და მოსკოვს შორის და მათ ცალ-ცალკე გაუსწორდეს. მაგრამ ოსმალეთს არ შეუძლია სრუტეების საკითხის დამოუკიდებლათ გადაწყვეტა. მან უნდა იმოქმედოს რუსეთთან ერთად".

**პუანკარე სარგებლობს ახლო-აღმოსავლეთის ამბებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგებისათვის.** „ეკო ნაციონალში" ტარდიე უსაყვედურებს პუანკარეს მის ორპირ საქციელისათვის: ერთის მხრით ის აჩერებს ინგლისს ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსასვლელად, ხოლო მეორე მხრით,—თხოულობს პალატის საფინანსო კომისიისაგან მრავალ მილიონიანი კრედიტის გახსნას აღმოსავლეთში შესაიარაღებლათ. „ბერლინერ ტაგებლატის" პარიზელი კორესპონდენტი იძლევა ამის გამო შემდეგ განმარტებას, რომელიც დაფუძნებულია ოფიციალური წყაროების ცნობებზე: საფრანგეთის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ჩეხო-სლოვაკიისა და პოლონეთისთვის გადაცემა სამხედრო მასალების, 200 მილიონი ფრანკისა. მთავრობამ მიუხედავათ ამისა, წამოაყენა პროექტი ამ კრედიტების გადიდებისა, რომელიც ჯერ ყოფილა დასმული პალატის განსახილველად. მიუხედავათ ამისა, პუანკარე თხოულობს, რათა გაძლიერებულ იქნას თავდაცვის საშუალებანი იმ სახელმწიფოთა, რომელნიც იმყოფებიან თავდასხმის მუქარის ქვეშ საბჭოთა რუსეთიდან, სახელდობრ რუმინიას, პოლონეთს და ჩეხო-სლოვაკიას ასასი მილიონი. პუანკარე ირწმუნება რომ ეს სამხედრო მასალები სრულებით არ იქნება მოხმარებული ოსმალების წინააღმდეგ.

**მუშათა პარტიის დიპლომატიური განცხადება.** ინგლისის მუშათა პარტიამ თავის განსაკუთრებულ სხდომაზე გაარჩია ახლო-აღმოსავლეთის საკითხი. გამომუშავებულ იქნა მანიფესტი, რომელშიც სხვათა შორის სწერია: „სრუტეების თავისუფლების საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნეს ყველა ქვეყნების მიერ; განსაკუთრებით ვეწინააღმდეგებით ცალკე ერების მისწრაფებას აიღონ თავის თავზე სრუტეების დამცველის როლი. ინგლისის მთელი ჯარი უნდა გაყვანილ იქნეს დარდანელის აზიურ ნაპირიდან". დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საბჭომ გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის განცხადება: „საჭიროების დროს ჩვენ მოვიწვევთ კონფერენციას ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისას და გავაკეთებთ ყოველივეს, რაც ჩვენს ძალებს შეეფერება, რათა აცილებულ იქნას ახალი ომი".

**მუდანიის თათბირის პროგრამა. საფრანგეთის წინადადება.** მდგომარეობა ახლო-აღმოსავლეთში მნიშვნელოვნათ შეიცვალა კვირის ბოლოში. როგორც ვიცით, ბრიტანეთის კაბინეტმა პარასკევს გაუგზავნა გენერალ გარრინგტონს დეპეშა, რომლითაც ამოწმებდა თავის სრულ თანხმობას ნეიტრალურ ზონიდან ოსმალების განდევნის მოთხოვნილებაზე. ეს მოთხოვნილება არ იყო გადაცემული გარრინგტონზე, რომელსაც ფრანკლინ ბუიონთან ერთად ჰქონდა რამოდენიმე თათბირი ქემალთან და შეთანხმდა გაეწვიათ მუდანიაში თათბირი სამხედრო წარმომადგენლებისა. მოლაპარაკების დროს ქემალი დაპირდა რომ არ დაეცემა ჩანაკსა და სტამბოლს. მუდანიაში განხილული იყო შემდეგი კითხვები: 1) სპეციალური ზომები ნეიტრალური ზონის ხელუხლებლობის უზრუნველსაყოფათ; 2) შეთანხმება ინგლისს და ოსმალეთს შორის აღმოსავლეთ ფრაკიის სადემარკაციო ხაზის შესახებ; 3) ფრაკიაში დროებითი გამგებლობის შექმნა. ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ მდგომარეობა გამოკეთდა მხოლოთ გარრინგტონის ბრძნული მოქმედებით; მთავრობის პრესა თავის მხრით აცხადებს, რომ მდგომარეობა გამოკეთდა კაბინეტის შეურყევლობის გამო. მიუხედავათ ამისა ყველა დაბრკოლებანი არ არიან ძლეულნი, „დეილი ტელეგრაფი" და „დეილი ქრონიკლი" მოითხოვენ მუდანიის თათბირზე კითხვების, მხოლოდ სამხედრო ხასიათით შემოფარგვლისა.

როგორც „დეილი მეილის" კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი იტყობინება, პროგრამა, რომელსაც ფრანკლინ ბუიონი შეიტანს კონფერენციაზე შეეხება შემდეგ კითხვებს: აღმოსავლეთ ფრაკიის საზღვრების დაწესება, ფრაკიის ევაკუაცია ბერძნებისგან და ამ ოლქში ოსმალეთის ადმინისტრაციის შემოღება.

**საბჭოთა რუსეთის დასაცავად.** ბექლვითი კლუბში წარმოთქმულ სიტყვაში, ჩიკაგოში სენატორ ბორამ სხვათა შორის განაცხადა: „ევროპაში მშვიდობიანობა შეუძლებელია მანამ, სანამ რუსეთი დაბრუნებული არ იქნება ხალხთა ოჯახში. მე ვდგევარ 170 მილიონ რუსეთის ხალხის ცნობის დასაცავად და ვეუბნები მათ: თუმცა ჩვენ უარყოფითად ვუყურებთ თქვენი მთავრობის თეორიებს, ჩვენ მაინც გიგზავნით თქვენ საუკეთესო სურვილებს. დასავლეთის დიდი რესპუბლიკა მთელი ძალებით მზათაა დაგეხმაროთ თქვენ თქვენი ცხოვრების მოწყობაში. შეადარა რა შემდეგ რუსეთის რევოლიუცია საფრანგეთისას ბორამ სთქვა: „საბჭოთა ხელისუფლება იცავს ადამიანთა სიცოცხლეს და უკვე რამოდენიმეჯერ უარი სთქვა თავის პოლიტიკაზე საკუთრების საკითხში".

გამოვიდა რა ქალაქ ჩიკაგოს მოქალაქეთა მრავალრიცხოვან კრებაზე, რომელსაც მრავალი გამოჩენილი მოღვაწე დაესწრო იმავე ბორამ, დაიცვა საბჭოთა რუსეთის ცნობა და პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება ამერიკაში.

## ზოგი რამ

### მხატვრობა

როგორც ქართველი ერის შემოქმედებით ნივთიერი კულტურა მოწმობს, შუა საუკუნეში საკმაოდ განვითარებული ყოფილა ხუროთ მოძღვრება, მუსიკა და მხატვრობა. იმ დროინდელი საეკლესიო ხუროთ მოძღვრება სტილს ახასიათებს გუმბათიანი ტაძრები გრეხილი ჩუქურთმებით მდიდრულად შემკული, ხოლო საეკლესიო მწერლობას

ამშვენებს ორიგინალი საგალობლები სამუსიკო ნიშნებ დასმული.

მხატვრობაც ასევე ყოფილა განვითარებული. მხატვრობა საერთოდ ისეთ პატივში ყოფილა. რომ არა თუ ტაძრების, არამედ ციხის ეკლესიების (სურამის ციხის) მოხატვაც სცოდნიათ. დასურათება სახელისა, თუ საერთო ნაწარმოებისა მისი კაზმულობების შემკობა სხვა და სხვა ხასიათის აშიებით ისევე, როგორც დიდი ჰკლდამა ტაძრის აგება სასახელო იყო ფეოდალისათვის რომელიც ქართველ ხელოვანს ხან და ხან წმინდა ქვეყნელ ძმათაგანაც კი დაიბარებდა, თუ საქართველოში არ ეგულებოდა. მრავალი ფრესკა და ხელთნაწერი ნახატია ამ მხრით შესანიშნავი, მაგრამ ამ ჟამად ყურადღების ღირსია ერთი მომენტი ქართული მხატვრობის განვითარებისა მეთვე საუკუნის გამნავლობაში, შუა საუკუნეებში შეიქმნა ტიპი მადონის (ღვთის მშობლის) ტიპისა. ყოფილ ნიჭიერ მხატვარს ეინტერესებოდა, რა სახის იყო ნაზარეველის დედა მარიამ, მაგრამ რაკი საბუთი, არავითარი იყო, ყოფილმა მხატვარმა თავის იდეალს მიჰმართა, ბოლოს იდეალი იგი დასახა იმ ქალის ტიპად რომელიც იყო უფრო გამოხატულება მისი მშობელი ხალხის ასულისა. ამგვარად მოხდა გაერისება (ნაციონალიზაცია) მადონის ტიპისა. იტალიელი მხატვარი მადონის ტიპს უახლოვდებოდა იტალიელი ქალისას, გერმანელი მხატვარი გერმანელი ქალისას. ასევე მოხდა საქართველოში. გაერისება ეტყობა ივერიის კარის, ბაგრატის ვედრების, მთაწმინდის ღვთის მშობლის ხატებსა. მარიამის ტიპი უახლოვდება უფრო ქართველის, ვიდრე სხვა-ტომელი ქალისას. ნახატებიანი დავითნის მხატვრული ვითარებაც ასეთია.

საეკლესიო წიგნებში სპარსული ყაიდის მხატვრობას ეთიდებოდნენ ისევე, როგორც მათი თარგმნის დროს სპარსულ სიტყვებს და ძალაუნებურად ბიბლიურ ტიპებში მხატვარს შეუტანია იერი, რომელიც ქართველის იერს მოაგონებს კაცსა. ძველი ვეფხის ტყაოსანი ხომ აშკარად სპარსული ყაიდის ნახატებით არის შემკული, მაგრამ მხატვარი იქაც ჰღალატობს თავის თავს და არაბებს და ინდოელებს ჰხატავს ზოგჯერ ქართველი კაცის იერით.

დღეს როგორ მდგომარეობაშია ქართული მხატვრობა? ეტყობა გაერისება თუ არა? უნდა ითქვას სიმართლე, ქართველ მხატვრებს საერთოდ ეტყობა გაერისება მხატვრობისა შინაარსით, მაგრამ ქართული ტიპის სრულ ყოფა, პირისახის გამოყვანა მეტ ნაწილს არ ემარჯვება.

კედლის სურათით მოკიდებული უბრალო საბავშვო წიგნამდე ნახატი ხალხი დიდი, თუ პატარა ტიპით და პოზით უცხო ტომელია ცხვირი რაა, ცხვირიც კი ვერ მოუხერხებიათ დაჰხატონ ქართული, გინდ პირისახე. ხშირად ცხვირი პაწუა იხატება, ხოლო სახე უფრო მრგვალი, ვიდრე თვალი. რა საკვირველია, ნაკლი აიხსნება რუსული სამხატვრო სკოლის გავლენით, მაგრამ საწყენელიც ის არის, რომ ქართველი თუ რუსი ერთმანერთში ძლიერ გაირჩევა ცხვირით და პირისახით, ჩვენს მხატვრებს კი ესეთი განსხვავება ვერ შეუმჩნევიათ. ერთ სურათში, რომელიც გვიხატავს ვეფხის ტყაოსნის თამარისთვის მირთმევას, ზიჩიმ ქართველი დიდებული ტარას ბულბად, ხოლო რუსთველი რუსის კუჩრად დაჰხატა. ზიჩის ესეთი შარაცხი ქართველი ხალხის ტიპის უცოდინარობით მოუვიდა და ბრალი მისი კი არა, იმ ქართველობის არის, ვინც ხელმძღვანელობდა. ქართველ მხატვარს კი არ ეპატიება ასეთი შეცდომა.

ამ უკანასკნელ ხანში ყურადღება მიიზიდა ვეფხვაძე მხატვრის ახალმა ნაწარმოებმა, რომელიც გვიხატავს ზარსახდომელ წუთს, როცა აბესალომს გადაუცია ეთერი მურმანისათვის, თვითონ თავჩაქინდრულია, ხოლო მურმანს ხელი მოუკიდნია ეთერისათვის და მიჰყავს. საერთო შთაბეჭდილება მეტად ძლიერია, მაგრამ აქაც პირისახის მოყვანილობა განსაკუთრებით ერთი დიდებულის, ეთერის და მურმანისა ყოვლად შეუწყნარებელია. არც ერთის მათგანის ტიპი არ არის ქართული. მურმანს ხომ მაინც სულ ქართველი თამაშობდა და როგორ მოხდა, რომ არა თუ ტიპად, ფოტოგრაფიულ სურათადაც ვერ გამოდგა. მერმე კიდევ უადგილოა დაირფანდურის გამოჩენა აბესალომისაკენ მასიობრივ სცენაზე ხოლო თვით აბესალომ ძალზე თავჩაქინდრულია. უკეთესი იყო მხატვარს ეღო ის მომენტი, როცა აბესალომ ეტყვის, მურმან, აჰა ეთერ. ვეფხვაძეს უცილოდ ეტყობა ნიჭი მხატვრობისა მაგრამ ჰმართებს ქართული ტიპის უფრო ახლო შესწავლა ცოცხალი ხალხის, მონასტრის ფრესკების და მადონის ხატების დაკვირვებით.

**პეტრე მარიანიშვილი.**

# ტფილისიდან მოსკოვამდე

საქ. ცენტრალურმა აღმასკომმა, თანახმად სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის მოთხოვნისა, გადაწყვიტა გაეგზავნოს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მისაღებად 50 აბიტურიენტი.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა საქ. ცეკას და განათლების სახკომისარიატს. მართლადაც შესდგა კომისია, რომელმაც განიხილა მსურველთა თხოვნები და ამოარჩია 50 ახალგაზრდა (შემდეგ დაუმატა კიდევ 10) პარტიული შემადგენლობა მათი ესეთი იყო: კომუნისტი—49; უპარტიო—8, მემარც. ფედერალისტი—3; ეროვნული შემადგენლობა კი შემდეგი: ქართველი—28, სომეხი—28, რუსი—4.

ყველა ახალგაზრდები ჩარიცხული იყვნენ სტიპენდიანტებად შემდეგ პირობებში: საქმთავრობა დაპირდა თითოეულს 2 მილიონ მანეთს (ქართულ ბონებით) ყოველთვიურად, მხოლოდ რუსეთის მთავრობა ამატებდა ამ ორ მილიონზე 30—40 მილიონამდის (საბჭოთა ნიშნებით), სადილს და ბინას. ამას გარდა ერთდროულად საქმთავრობამ მისცა თითოეულ ახალგაზრდას ფეხსაცმელ-ტანსაცმელ სურსათი. ჩვენდა საუბედუროდ ფეხსაცმელები პატარანი გამოდგა (22 ნოემბრიდან 27-დის) და მგზავრობის დროს სადგურებზე დაყიდეს, სურსათსანოვაგე კი ტფილისში დაგვრჩა, სურსათისათვის ცალკე ვაგონის მოუცემლობის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა მხიარულად შევუდექით მგზავრობას იმ იმედით, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილად ვგრძნობდით თავს.

გავცილდით ტფილისს. ლიანდაგის ახლო-მახლო მიდამოების მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ ბრძოლები ყოფილა. დაწყებული ტფილისიდან ბაქომდის, თითქმის არც ერთი სადგურის შენობა და დარაჯის „ბუდკა" არ არის ხელ-უხლებელი და დაუნგრეველ-დაუმსხვრეველი. ქართულ ბონებზე ყოველიფერი იაფია, განსაკუთრებით ხილეულობა, ბაქოდან კი სიძვირე თან და თან იმატებს, გარდა პურის ფასისა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში ფუთი 8—10 მილიონად შეგიძლიან შეიძინო; ასეთი ფასია სადგურებზე, მხოლოდ სოფლებში ხომ მომეტებულად იაფია.

გზაში მშვიდობიანად ვიარეთ არმავირამდის, მხოლოდ არმავირიდან აგვიტეხეს უსიამოვნება რკინის გზის მილიციამ. მიზეზი უსიამოვნებისა იყო წითელ-არმიელების განზრახვა ძალით შემოსულიყვნენ ჩვენს ვაგონში. წესრიგის დასაცავად ჩვენ მიერ დანიშნულმა ამხანაგმა უარი განუცხადა წითელ-არმიელებს ვაგონში შემოსვლაზე იმ მიზეზით, რომ შიგ თავისუფალი ადგილი აღარ მოიპოებოდა, მიუხედავად ამისა წითელ-არმიელებმა ძალით და მუქარით მოინდომეს ვაგონში შემოჭრილიყვნენ; ატეხილ ყვირილ-ჟივილზე მოსულმა მილიციამ, გაიგონა რა, რომ ჩვენ სტუდენტები—სტიპენდიანტები ვართ საქ. მთავრობის მიერ მოსკოვში გაგზავნილი, რაღაც არ მოეწონათ და თუმც წითელ არმიელები ჩამოგვაცილეს, მაგრამ თვით შექმნეს ნავარდობა. ხან დოკუმენტებს დაუწყეს ეჭვიანობა, ხან ბარგს დაუწყეს სინჯვა; ერთი სიტყვით მიზეზს ეძებდნენ, მაგრამ რომ ვერა იპოვეს რა, გადგვანთავისუფლეს და გაუშვეს მატარებელი. თავისუფლად ამოვისუნთქეთ, გვეგონა, რომ უსიამოვნებას თავი დავახწიეთ, მაგრამ ტყუილი გამოდგა ჩვენი უდროო გულდამშვიდება. მეორე სადგურიდან დაიწყეს ისევ ჩხრეკა, დოკუმენტების სინჯვა, დაკითხვა—თითქოს კონტრ-რევოლიუციონერებთან ჰქონდათ საქმე. ვეკითხეთ: რაშია საქმე, რად იჩხრიკება მარტო ჩვენი ვაგონი და არა სხვებისაც, პასუხად გვითხრეს, რომ ჩხრეკას ახდენენ არმავირიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, აუხსენით, თუ რაში იყო საქმე, მაგრამ ჩხრეკა მაინც არ შესწყვიტეს და რომ ამათაც ვერა იპოვესრა, (ჩვენ არც კი ვიცით რას ეძებდნენ) მიზეზი ის გვიპოვეს, რომ ბევრი ბარგი მიგაქვთ და გადასახადი უნდა გადაიხადოთო. რადგანაც კი ამით შევეძლო განთავისუფლება იმათგან, ავიღეთ და გადავიხადეთ ტფილისიდან როსტოვამდის, რამდენიც კი მოგვთხოვეს.

ჩავედით როსტოვში. ვაგონი ჩამოგვართვეს და სამაგიერო მოგვცეს. ბარგის გადატანის დროს შემოგვესწრო როსტოვის საბარგო კანტორის აგენტი და ეხლა იმან აგვიტეხა აურ-ზაური, როგორ თუ ამდენი ბარგი გქონიათ ვაგონშიო. მოყვა ლანძღვა-გინებას, არ დაუკლია „სპეკულიანტის", „გაუნათლებლების" და სხვა და სხვა ეგეთი სიტყვების ძახილი, ბიდა და ტფილისიდან გადახდევინებდა განმეორებით ჯარიმას როსტოვამდის.

გავგზავნეთ კაცი კავკასიის ოლქის ლიანდაგის უფროსთან, რომელსაც აუხსენით ჩვენი მდგომარეობა, გადავცეთ ყოველივე გზაში მომხდარი უსიამოვნება და იმან, როგორც იქნა, ჩამოგვაშორა ეს აბეზრებული მოხელე. აგრეთვე გასცა ბრძანება არმავირ-როსტოვის მილიციისადმი დაებრუნებინათ უკანონოთ გადახდევინებული ფული.

როსტოვიდან გავემგზავრეთ ვორონეჟის გზით. სანამ როსტოვს მიუახლოვდებოდით თვით მოსკოვამდე სადგურების სათადარიგო გზები და სადგურიდან სადგურამდე ლიანდაგის მხარეები მოფენილია აურებელ დამტვრეულ დამსხვრეულ ვაგონებით, თითქმის განუწყვეტლივ ცხრაას ვერსის სივრცეზე, განსაკუთრებით „დონბასის" რაიონში. ეს ვაგონები დამტვრეულია სამოქალაქო ომის დროს. გზაში და სადგურებზე წესრიგი ამ მხარეზე მშვენიერად არის დაცული. უხვ მოსავლის გამო სიაფე სურსათ-სანოვაგისა საგრძნობია, სხვა რაიონებთან შედარებით. მიუახლოვდით მოსკოვს.

სტუდენტების მხიარულებას, თამაშს, სიმღერას, სჯა-ბაასს საზღვარი არ აქვს, მაგრამ ერთმა უბედურმა შემთხვევამ ეს მხიარულება სრულიად მოგვიწამლა. სადგურ ფასტოვის მახლობლად ამხ. ხალარაძევას ფეხი აუცდა ვაგონის საფეხურზე იმ დროს, როდესაც მატარებელი ხიდზე იყო შემდგარი, მატარებელმა ხიდის სალტეებს მიარტყა, სალტეებმა უკანვე გადმოისროლეს და ვაგონს შეუგდეს გოგრებში. მატარებელი გავაჩერეთ, მაგრამ გვიანდა იყო. ის მთლად დაეწიწკნდაგლეჯა ნაკუწ-ნაკუწათ, მხოლოდ დარჩენილიყო გასრესილი პირისახე და ცალი ფეხი ცალ-ცალკე გადასროლილი. შეგროვება ნაკუწების ყოვლად შეუძლებელი იყო. ამისათვის დავტოვეთ ლიანდაგის დარაჯის მხედველობის ქვეშ, მხოლოდ სადგურის მილიციას დავუბარეთ მიებარებინათ ცხედარი მიწისათვის. საშინელი იყო სურათი სიცოცხლით ღასავსე, მომხიბლავ ხასიათის ახალგაზრდის დაღუპვისა, რომელსაც ხუთი წელია მშობლები არ ენახა თავის სიღარიბისა გამო და ეხლა იმითი იმედებდა თავს, რომ სწავლა დამთავრებული დაუბრუნდებოდა მშობლებს და ოდნავ მაინც გაუმჯობესებდა მათ ცხოვრებას.

დარჩენილი ნივთები დაღუპულ ამხანაგისა გადავეცით მოსკოვში წარმომადგენლობას, მშობლებისათვის გადასაგზავნათ.

ჩავედით მოსკოვში. სადგურზე დაგვხვდნენ წინასწარ გამოგზავნილი ამხანაგები. პირველი კითხვა ჩვენი ბინას შეეხებოდა. ბინა ვერ ეშოვნათ. ავკრიფეთ ბარგები და წავედით საქ. წარმომადგენლობის ბინაზე. ძალა უნებურათ მოგვიხდა ხაბაკი შეგვეყარა ერთ პატარა „სარაიაში" მხოლოდ ჩვენ ყველანი მოვთავსებულიყვნით მისიის სამ ოთახში. დაღლილ-დაქანცულნი, მგზავრობით საესე, გავშალეთ იატაკზე ქვეშაგები და დამწვირიანებულნი კიდევ უფრო დავმწვირიანდით. გავიგეთ უფრო არა სასიამოვნო ამბავიც: რუსეთის მთავრობა არავითარ სტიპენდიას არ გვაძლევს, სადილზე და ბინის შოვნაზედაც უარი გვეთხრეს, ამნაირად დავრჩით ჩვენ, ჩვენი თავის ანაბარად და მისიის დახმარების იმედით. ჩასვლის მეორე დღეს ოდეს ქალაქში გავიარ-გამოვიარეთ სულ მოგვიპო ყოველივე იმედები: გირვანქა პური—300—600,000 მანეთამდის ღირს, სადილი—არა ნაკლებ 1 ნახ მილიონისა ჯდება, ოთახი ხომ სულ არ მოიპოვება და თუ იშოვე 60-180 მილიონამდე ღირს. უიმედობამ ისე შეგვიპყრო ახალგაზრდობა, რომ ზოგიერთს უკანვე დაბრუნების სურვილიც აღეძრა.

ამავე დროს მოსკოვში ჩამოვიდნენ ამხ. ქ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვ. გაიმართა მჭიდრო ჩვენი მდგომარეობის შესახებ და გადაწყდა ეთხოვათ საქ. მთავრობისათვის თვიურად თითოეულ სტუდენტისათვის ხუთი მილიონი, ე. ი. საბჭოთა ნიშნებით 150 მილიონი. საქართ. მთავრობის თავმჯდომარემ ს. ქვეთარაძემ, პირადპირი [illegible] შემდეგ, ნება დართო მისიას მიეცა თითოეულ სტუდენტისათვის ასასი მილიონი, მხოლოდ სახფინკომისარიატმა დეპეშით შეგვატყობინა, რომ ორ მილიონზე მეტს (ქართულ ბონებით) ვერას მივიღებდით. ამნაირად ჩავვარდით გაურკვეველ მდგომარეობაში, რომელმაც ეხლავე გვაჩვენა თავისი უარყოფითი სახე: უმრავლესობას ფული არ გააჩნია და ჯერ-ჯერობით ხელს [illegible] ცდილობს იმ უმცირესობიდან, რომლებსაც ფული შერჩენია, მაგრამ ამათაც მალე გამოელევათ და მაშინ ბა რა უნდა უქნას მოსკოვში მცხოვრებ სტუდენტს, რომ [illegible] ათმა მილიონმა (საბჭოთა ნიშნებით). თუ საქ. მთავრობამ არა დაუმატა რა ამ გადაწყვეტილ თანხას. ერთი გზა და დარჩება ეძიოს სამსახური, რაიც ძლიერ ძნელი საშოვარია, მისცეს სწავლას, იმუშაოს დღე და ღამე თავის გამოკვებისათვის, ამისათვის კი მოსკოვში წამოსვლაც არ ღირდა, ვინაიდან მუშაობა საქართველოშიაც შეიძლებოდა და უფრო ნაყოფიერი.

ჩვენ იმედი გვაქვს საქ. მთავრობა მიიღებს მხედველობაში საორგანიზაციო კომისიის, მისიის და საქართველოს წარმომადგენლების ამხ. ლ. დუმბაძის, ქ. ცინცაძის და სხვ. რომლებიც გაეცნენ ადგილობრივ ჩვენს მდგომარეობას, აღძრულ შუამდგომლობას და გადიდებს სტიპენდიას ხუთ მილიონამდის მაინც.

**ტ. ჩუბინაძე**

მოსკოვი
19 სექტემბერი, 22 წ.

# ახლო აღმოსავლეთი

**საბერძნეთის და მუდანიის შეთანხმება**

ბერლინი 13 ოქტ. საბერძნეთის მთავრობამ განუცხადა პრესის რომ იგი მოაწერს ხელს შეთანხმებას 3 დღის შემდეგ, როდესაც დაბრუნდება საბერძნეთის დელეგაცია, იმიტომ რომ მას უნდა გაიცნოს შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ეხება ფრაკიის ევაკუაციის პირობებს.

**სამშვიდობო კონფერენციის გადადება**

მანჩესტერი 13 ოქტ. პარიზის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ რომ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციას არ შეუძლია შეიკრიბოს 1 ნოემბერზე უფრო ადრე, ვინაიდან ამ ვადისათვის შეუძლებელი იქნება ყველა საჭირო დოკუმენტების დამზადება და შეგროვება.

**ბულგარეთ რუმინიის საზღვრების დახურვა**

მანჩესტერი 13 ოქტ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთ-რუმინიის საზღვარი დაიხურება 14 დღის განმავლობაში ბულგარეთის მხრივ.

**ფრაკიის ევაკუაციის გამო**

მანჩესტერი 13 ოქტ. როიტერის სააგენტოს ცნობით, ოსმალეთის ჟანდარმერიის რიცხვი ფრაკიაში იქნება 8,000 კაცი. გაზ. „ტაიმს" კონსტანტინოპოლიდან ატყობინებენ, რომ ფრაკიის ევაკუაციის კონტროლს გაუწევს მოკავშირეების 7 ბატალიონი, რომლის რიცხობრივი უპირატესობა მანიჭებული აქვს საფრანგეთს.

**მუდანიის შეთანხმება**

ბერლინი 13 ოქტ. მუდანიის შეთანხმება შეიცავს მუხლებს შემდეგ საკითხების შესახებ: საბერძნეთის ჯარების და სამოქალაქო ორგანოების ევაკუაციის პირობები, ოსმალეთის ჟანდარმერიის და ადმინისტრაციის ფრაკიაში დაბინავების პირობები, ფრაკიაში გარდამავალ ხანაში კონტროლის უზრუნველყოფა და დაწესება იმ ხაზისა, რომელსაც უნდა გასცილდნენ ბერძნები. ეს ხაზი გაჰყვება მდ. მარიცის მარცხენა ნაპირს ეგეის ზღვის დასაწყისიდან იმ წერტილამდე, სადაც ფრაკია უერთდება ბოლგარიას ოსმალეთის საოკუპაციო ჟანდარმერია შესდგება 8,000 კაცისაგან, თუ მივათვლით ოფიცრებსაც. ანტანტის 7 ბატალიონი დაიკავებს აღმოსავლეთ ფრაკიას, ხოლო ჯარების უმრავლესობას მოსალოდნელია შეადგენდენ ფრანგები. ბერძნების ევაკუაციიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, ეს რაზმები დასტოვებენ ფრაკიას. ანგორის ჯარები შეჩერდებიან აზიის ნაპირზე ჩანაკის რაიონში 15 კილომეტრზე დაშორებულის აზიის ნაპირებიდან და 15 კილომეტრზე დასავლეთით—ბოტს-ბურნუ და კუმ-ბურნუს ხაზზე, ის მიდის ნახევარ კუნძულზე, დაწყებული ბოსფორიდან, მოკავშირეების ჯარები დარჩებიან იმ პოზიციებზე, რომლებიც ეხლა უჭირავთ. ანგორის მთავრობა ვალდებულია არ გადიყვანოს ჯარები და არ მოაწყოს არმია აღმოსავლეთ ფრაკიაში. საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე შეთანხმება შედის ძალაში ის ხელის მოწერიდან სამი დღის შემდეგ, ხოლო საბოლოოდ 15 ოქტომბრიდან.

**შეთანხმების შემდეგ**

ბერლინი 13 ოქტომბ. მოკავშირეების ოფიცრების კომისია მიემგზავრება, როდოსტოში გენ. ნიდერთან ფრაკიის ევაკუაციის გეგმის გამოსამუშავებლად. მოკავშირეების ჯარები ნაწილდებიან ამ რიგად: ფრანგები მოთავსდებიან ადრიანოპოლში, კირ-კილისში და ლიულე—ბურგასში; ინგლისელები იქნებიან—როდოსტოში და იტალიელები—ჩორლუში. თვითეული მისია შესდგება ბატალიონის უფროსიდან წარმომადგენლის სახით და ორი წევრიდან—სხვა ერის ორი ოფიცრიდან ბერძნების [illegible] მიერ შეთანხმებაზე ხელის მოწერისათვის უარის თქმის გამო, ისმეტ-ფაშამ შეეკითხა მოკავშირეებს [illegible] ხელს ეს უარის თქმა შეთანხმების [illegible] ნებას? [illegible] პასუხი, რომ მიიღებენ ყოველივე ზომებს, რათა მიიღონ ათინიდან შეთანხმება.

**ოსმალეთის მოქმედება**

ბერლინი 13 ოქტ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მიუხედავად მუდანიაში მიღწეულ შეთანხმებისა, ოსმალეთის ჯარმა 4,000 კაცის რაოდენობით გადალახა ბირანიან ახალი მისაზღვრო ხაზი, დურაჯის ჩრდილოეთით, ისმიდის ნახევარ კუნძულზე. გენერალმა ჰარინგტონმა მაშინვე გაუგზავნა ამის შესახებ წერილი ოსმალეთის სარდლობას.

**ბერძნები და მუდანიის შეთანხმება**

ბერლინი 13 ოქტ. საბერძნეთის მთავრობამ აცნობა პრესას, რომ სამი დღის შემდეგ ის ხელს მოაწერს მუდანიაში მიღწეულ შეთანხმებას, ეხლა კი ის ელოდება თავის დელეგატებს მუდანიიდან, რათა მიიღოს მათგან დაწვრილებითი ცნობები ფრაკიის ევაკუაციის პირობების შესახებ.

**სრუტეების საკითხი**

რომი 13 ოქტ. იტალიის პრესა იხილავს მუდანიის შეთანხმების შინაარს და ამბობს, რომ საკითხი სრუტეების შესახებ კვლავ გამოურკვეველი რჩება.

**სტამბოლში**

რომი 13 ოქტ. სტამბოლში სხვა და სხვა ამბების მოლოდინის გამო, იტალიელებმა გადასწყვიტეს ნაზად იქონიონ გემები ნავთსადგურში ორი გემი ლტოლვილების გადმოსახსნელად, აგრეთვე გამოყენებულ პუნქტები ლტოლვილების მისაღებად და დაიცვან ფოსტის და ბანკების დაწესებულებები.

**სულთანის გადადგომა**

რომი 13 ოქტ. ოფიციალური ცნობებით, სულთანის გადადგომა მოხდა აღმოსავლეთის საკითხის წინასწარ გადაჭრის შემდეგ.

# ანტანტა და გერმანია

**საკონტრიბუციო კომისიაში**

ბერლინი 13 ოქტომ. საკონტრიბუციო კომისიამ განიხილა 3 სექტემბრის წინადადება გერმანიის ბანკროტობის აცილებისათვის დაუყოვნებლივ ზომების მიღების შესახებ. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ში ბერნშტეინი აღნიშნავს, რომ გერმანიის ქონება ძლიერ შეცვლილი შეღავათი, რომლის ძალით მას გადასახადი შეეძლო ბაზის ბონებით და მარკის კურსის დაცემა ამ ჟამად არის შედეგი საბირჟო მახინაციებისა.

**ზომები მარკის კურსის დაცემის წინააღმდეგ**

ნაუენი 13 ოქტ. რათა მარკის დახურდავება განმტკიცებულ იქნას პრეზიდენტმა ებერტმა გამოსცა დეკრეტი უცხოეთის ვალიუტის დახურდავებაზე სპეკულიაციის წინააღმდეგ. საგარეო ვაჭრობის გადასახად ვალდებულებათა გამოშვება აკრძალულია, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებლობის შეძენა ხდება.

ვექსილების გაყიდვა განსაზღვრულია და დაექვემდებარება სპეციალურ დაწესებულების კონტროლს. სასტიკად აკრძალულია უცხო ვალიუტით სპეკულიაცია. დეკრეტის დამრღვევნი სასტიკად ისჯებიან. მთავრობამ გამოუშვა ბონები ახალი ოქროს ვალიუტის მიხედვით ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ეკუთვნის რეიხსტაგს.

**პრესა ებერტის დეკრეტის შესახებ.**

ბერლინი 13 ოქტ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ებერტის დეკრეტი რეგლამენტაციას უკეთებს ფასიან ქაღალდების ვაჭრობას: „ლოკალ ანცაიგერის" აზრით, რომელიც მსხვილი მრეწველობისაგან არის ნაკარნახევი, მარკის კურსის განმტკიცება დამოკიდებულია 9 საათის სამუშაო დღის დაწესებისაგან.

# რუსეთი

**სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესია**

მოსკოვი 13 ოქტომბერი. გაიხსნა სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის მესამე სესია უცხოეთის წარმომადგენლების თანადასწრებით. მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ესალმებიან ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას, რომელმაც რწმუნებლად გაიმარჯვა დასავლეთის იმპერიალიზმზე.

**სიმშილობა ცარიცინის გუბერნიაში.**

მოსკოვი 13 ოქტ. ცარიცინიდან მოდის საშინელი ცნობები გუბერნიაში სიმშილობის საშინელების შესახებ. ზამთრისათვის მცხოვრებლების მნიშვნელოვან ნაწილს უნდა გაეწიოს დახმარება..

**სათბობი მასალა სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზე.**

**მოსკოვი** 12 ოქტ. კიევიდან იტყობინებიან, რომ სათბობი მასალებით მომარაგების საქმე სამხრეთ დასავლეთის რკინის გზებზე გამოკეთდა. უზრუნველყოფილია სათბობი მასალის მარაგი. ახლო მომავალში განზრახულია გაფართოვდეს მგზავრების მოძრაობა.

**პროლეტარულ სტუდენტობის სახლი.**

**მოსკოვი** 12 ოქტ. ხარკოვში ზემოთ დაიხსა „პროლეტარულ სტუდენტობის სახლი".

**ფეიქართა ყრილობა**

**მოსკოვი.** 13 ოქტ. სრულიად რუსეთის ფეიქართა ყრილობა დაიხურა. ყრილობაზე აღნიშნულ იქმნა საფეიქრო ფაბრიკებში შრომის ნაყოფიერობის გადიდება. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია შინაგანი რესურსების შეკრების გამონაყოფლობის ფარგლებში შენება.

ყრილობამ მიმართა მოწოდებით მთელი ქვეყნის ფეიქრებს შეკავშირდნენ წითელ პროფინტერნის ირგვლივ.

# სხვა და სხვა ამბები

**ინგლისი.**

**კროიდონი,** 12 ოქტ. ლოიდ-ჯორჯი ლონდონიდან მანჩესტერში გაემგზავრა, სადაც წარმოსთქვამს სიტყვას

**შვეიცარია.**

**თოვლი სენ-გოტარდზე.**

**კროიდონი** 12 ოქტ. დასავლეთ ევროპაში ტემპერატურის დაწევა აიხსნება სენ-გოტარდზე მოსული დიდი თოვლით.

**ამერიკა.**

**მაგარი სასმელები ამერიკაში.**

**ჰანოვერი,** 12 ოქტ. შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა გარდინგმა გამოსცა ბრძანება ამერიკულ გემებზე მაგარი სასმელებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, აგრეთვე აკრძალულია უცხოელების გემების მიერ ალკოჰოლის შემოტანა ამერიკაში.

**საფრანგეთი.**

**საფრანგეთის სამთომადნო წარმოების მუშების შორის.**

**ჰანოვერი** 12 ოქტ. სამთომადნო მრეწველობაში ჩაბმულ მუშების შეიარაღებული გაფიცვა აშორებული იქმნა, ვინაიდან მწარმოებლებმა უარი სთქვეს ხელფასის შემცირებაზე.

**ფაშისტები საფრანგეთში.**

ბერლინი. „როტე ფანე" იუწყება, რომ ფაშისტებმა თავიანთი მოქმედება გადაიტანეს საფრანგეთშიც სადაც აწყობენ ახალ ორგანიზაციას „მოქალაქეთა კავშირის" სახელწოდებით.

პარიზში დაარსდა იტალიელ ფაშისტების იარუკის ადგილობრივი ორგანიზაცია. ეროვნულ ბლოკის მონარქისტული ფრთა ოპოზიციას ემუქრება საფრანგეთში ფაშიზმის ორგანიზაციით. ფაშისტური ტენდენციები მთავრობაში დახმარებას პოულობენ, განსაკუთრებით კი ოფიცერთა წრეებში.

**ამერიკა.**

**„სპილენძის მეფის" გარდაცვალება.**

**ჰანოვერი** 12 ოქტ. სოუტჰემპტონში (ამერიკა) გარდაიცვალა ფინანსისტი გუგენგეიმი, რომელიც ცნობილი იყო „სპილენძის მეფის" სახელწოდებით.

**ინგლისი.**

**უელსის კანდიდატურა.**

**ჰანოვერი** 12 ოქტ. ცნობილი რომანისტი უელსის კანდიდატურა წამოაყენა ინგლისის მუშათა პარტიამ თემთა პალატაში. უელსი დათანხმდა თავის კანდიდატურის წამოყენებაზე.

**რატენაუს მკვლელების პროცესი.**

**ჰანოვერი.** 13 ოქტ. პროკურორის საბრალმდებლო სიტყვის და თავმჯდომარის დამამტკიცებელი მოთხოვნის შემდეგ, ტეშოვმა აჩვენა სასამართლოს, რომ ის იძულებული იყო მიეღო მონაწილეობა რატენაუზე თავდასხმაში დახვრეტის შიშით, რომლითაც მას ემუქრებოდნენ დანარჩენი თავდამსხმელები.

**დოდეკანეზის საკითხი.**

**ნაუენი.** 13 ოქტ. იტალიის განცხადებამ, რომ ის წინააღმდეგია დოდეკანეზის საბერძნეთისათვის გადაცემისა, ლონდონში დიდი გაკვირვება გამოიწვია, ვინაიდან იქ ფიქრობდნენ, რომ ამ საკითხს გადასწყვეტდნენ მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებით. როგორც სჩანს იტალია სცდილობს მიიღოს ოსმალეთისაგან კუნძულებზე სუვერენული უფლებანი მაშინ, როდესაც ეს უფლებები მიენიჭება მას მოკავშირეების მიერ.

**საბერძნეთში.**

**ყოფ. მთავარსარდლის დაპატიმრება**

**ნაუენი** 13 ოქტ. საბერძნეთის ყოფილი მთავარსარდალი მცირე აზიაში გადიპატისი დაიპატიმრეს ათინში.

**ინგლისი**

**ლოიდ-ჯორჯისათვის ნდობის გამოცხადება**

**ბორდო** 13 ოქტ. გაზ. „დეილი ექსპრესის", კონსერვატიულ პარტიის წევრებმა. კაბინეტის წევრებმა ჩემბერლენმა ბალფურმა, კერზონმა და ბირკენხედმა მისცეს ხმა ლოიდ ჯორჯისათვის ნდობის გამოცხადებას.

**ავსტრია**

**ავსტრიაზე კონტროლის დაწესება**

**ლიონი** 13 ოქტ. იტყობინებიან, რომ ინგლისელი შრომის ყოფ. მინისტრის ბენედიქტის სახელებს საერთაშორისო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

**კროიდონი** 13 ოქტ. კანცლერმა სკრაპელმა გამოსთქვა მოსაზრება ავსტრიის სასარგებლოდ ერთი ლიგის მუშაობის შედეგების შესახებ სოციალისტების წინადადება უნდობლობის შესახებ, უარყოფილ იქნა.

**მენდუზის დანიშვნა**

**რომი** 13 ოქტ. გაზეთები იტყობინებიან, რომ დეპუტატი ლეგრატი მენდუზი დანიშნულია იტალიის წარმომადგენლად ავსტრიაზე დაწესებულ საკონტროლო კომისიაში, რომელიც შედგენილია ერთა ლიგის დადგენილების თანახმად.

**ახალი ოლოხავდეთში**

**რომი** 13 ოქტ. საბერძნეთში მოითხოვენ პრემიერ მინისტრის გუნარისის სიკვდილით დასჯას.

**ჩემბერლენის სიტყვა.**

**ბორდო.** 13 ოქტ. ჩემბერლენი ბირმინგამში წარმოსთქვამს ვრცელ სიტყვას ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ და წარმოადგენს მნიშვნელოვან წინადადებას უნიონისტურ პარტიის მომავალი გეგმისა და მისი ლიბერალურ პარტიებთან კოალიციის შესახებ.

# ახალი ამბები

— დაიკარგა პირადობის მოწმობა მ. სეფერთელაძის სახელზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული,—ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ბათომის ნავთსადგურში** სდგას უცხოეთის შემდეგი გემები: საფრანგეთისა „ნიტე-დე-სპარტო", დანიის „ოლ-ყორდენ" და ინგლისის „რანცა." ყველა ესენია ნავთის ჩასასხმელი, იტალიის საბარგო-სამგზავრო გემი „ნიკოლოს ტომსონ". მიღებულ ცნობების მიხედვით, უკანასკნელი გემი წავიდა კონსტანტინეპოლს.

— **ფოთის ნავთსადგურში.** ამჟამად არ არის უცხოეთის გემები.

— **სოხუმის** რეიდზე სდგას „მარიანინა" იტალიის დროშით.

— **ბათომის ნავთსადგურში.** მოვიდა ოქტომბრის 8-ს კონსტანტინოპოლიდან იტალიის გემები „ალბანო" და „სპარსეთი".

— **ცეცხლი.** გასულ თვეში (სექტემბერში) ქალაქში სულ 15 ცეცხლი იყო.

— **ციმბირის ჭირი.** ამ დღეებში ქალაქის ვეტერინალურმა ზედამხედველობამ სალდათის ბაზარზე აღმოაჩინა იშვიათი შემთხვევები ციმბირის ჭირის ღორის ხორცზე. ეს ხორცი განადგურებულ იქნა.

— **თეატრების დათვალიერება.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შექმნილ იქმნა კომისია თეატრალურ შენობების დასათვალიერებლად ცეცხლის და ტექნიკური მხრით. შინ. საქმეთა სახ. კომისარიატის ცეცხლისაგან დაცვის ქვეგანყოფილების მიერ კომისიაში დანიშნულია ი. ი. მისი, ხოლო ტფილისის აღმასკომიდან კი რაიონული ქალაქის ინჟინერი მ. ა. აზესალოვი.

— **ჰიდრო-ელექტრული სადგური.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრული სადგურის აშენებისა და მოწყობის ხარჯებისათვის რ. ს. ფ. ს. რ. შრ. სამეურნეო საბჭომ გადასდო 750.000 მან. ოქროთი.

— **ბათომში** უახლეს დროში საქ. საზღვაო ტრანსპორტის მართველობისა და წყლის დარგის ცენტრალურ პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის მიერ გამოცემულ იქნება ახალი დიდი ფორმატის გაზეთი „მაიაკი", ორივე ორგანიზაციების საჭიროებისთვის.

— **მატარებლების მიმოსვლა მცხეთამდე** დღეს მცხეთობის დღესასწაულის გამო ტფილისიდან მცხეთამდე პირველი მატარებელი გავა დილით 7—50 წუთზედ. მეორე 10—15 წუთზედ, მესამე ნაშუადღევს 1—10 წუთზედ. მცხეთიდან ტფილისამდე პირველი დილით 8 48 წ., მეორე 12—29 წუთ., მესამე ნაშუადღევს 4—49 წუთ., მეოთხე 7—53 წუთ.,

— **ოქტომბრის რევოლიუციის** ხუთი წლის თავის აღსანიშნავად გადაწყვეტილია გაიხსნას ბაღი გედენოვისა და ჩერქეზიშვილის ქუჩების მახლობლად და ეწოდოს „ოქტომბრის რევოლიუციის" სახელობის ბაღი. ამ დღის მოწყობ სათვის გადადებულია სათანადო თანხა.

— **საბავშო ბაღების გახსნა.** განზრახულია გაიხსნას სამი საბავშო ბაღი და ერთიც საბავშო სახლი მუშათა უბანში. მოზარდი ბავშვები გადაეცემა თავიანთ პატრონებს და სამაგიეროთ აყვანილი იქნება ქუჩის უპატრონო ბავშვები.

— **ნოხების გატანა.** საბოლოოთ დამტკიცდა სავალდებულო დადგენილება ნოხების გატანის აკრძალვის შესახებ.

— **საწყობის გადაცემა.** ბათომის ნავთსადგურის გამგეობას წინადადება მიეცა სახალხო ბანკს გადასცეს ფართო საწყობი ბანკის ოპერაციების საჭიროებისათვის.

— **სტუდენტთა სასადილო.** სასადილოს საბოლოოთ სტუდენტების განკარგულებაში გადასაცემად, აღმასკომის პრეზიდიუმმა მიანდო ამხ. რუხაძეს სტუდენტთა საბჭოს წარმომადგენელთან ერთად გამოარკვიოს საკითხი სასადილოს შესახებ განათლების კომისარიატთან.

— **სახალხო სახლის აღმასკომის განკარგულებაში გადასვლა.** სახალხო სახლი ყოველიკე ინვენტარით გადავიდეს აღმასკომის განკარგულებაში. ქალაქის განათლების განყოფილების გამგეს მინდობილი აქვს მოიწვიოს ქალაქის საბჭოსათვის პოლიტიკურ განმანათლებელი განყოფილება.

**სააფთიაქო საწყობის გაქურდვა.** კრილოვის ქ. № 15 გაქურდული იქმნა ანტონინა მახარაძის სააფთიაქო საწყობი, საიდანაც ბოროტ-მოქმედს წაუღია სხვა და სხვა მედიკამენტები და საპირფარეშო საგნები, მაგრამ როდესაც მეეზოვეებს დაუნახავთ გზაში მიმავალი, ტომრით ზურგზე, ვიღაც საეჭვო პირი, გასდევნებიან მას, რის შემდეგაც ბოროტ მოქმედს ტომარა ნივთებით — გაუგდია და თითონ კი მიმალულა. ნივთები დაუბრუნდა პატრონს მახარაძისას.

— **სასკოლო გადასახადი.** ტფილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილება ამზადებს სასკოლო გადასახადის პროექტს.

**შრომისა და თავდაცვის საბჭომ** (რუსეთში) მოიწონა ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრონული სადგურის პროექტი და დაადგინა აღმოუჩინოს ქალაქს დახმარება ოქროს ვალიუტით.

**შრომის სახალხო კომისარიატში** მზადდება პროექტი, რომ ღარიბთათვის სახელმწიფო დახმარების საქმე გადაეცეს შინაგან საქმეთა კომისარიატს. შრომის კომისარიატს კი რჩება დამოუკიდებელ პროფესიის წარმომადგენელთა საურთიერთო დახმარების ორგანიზაცია და საზოგადო ურთი-ერთ დახმარება გლეხთა შორის.

# სამხატვრო ქრონიკა

**მსახიობი იუზა ზარდალიშვილი.** მომავალ ზამთრის სეზონში მიწვეულია ბათომის სახელმწიფო დასში. ზარდალიშვილი დროგამოშვებით ქ. ქუთაისში მიიღებს მონაწილეობას.

# სახალხო კომისართა საბჭოში

**ბრძოლა მალარიასთან.** სახალხო კომისართა საბჭოში შემოვიდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა, მის განკარგულებაში საჭირო თანხის გაცემის შესახებ, რესპუბლიკაში მალარიასთან საბრძოლველად ქინაქინის შეძენისათვის. მალარიისაგან მოსალოდნელ საფრთხეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ადრე მიაქცია ყურადღება და რესპუბლიკის მაშტაბში მალარიასთან საბრძოლველად კამპანიის წარმოების სახელმძღვანელოთ წარსულ წელს მას მიერ მოწყობილი იქნა მალარიასთან საბრძოლველი ცენტრალური სადგური, სადაც მიწვეულ იქმნენ ამ საკითხის მცოდნე სპეციალისტები, მაგრამ ბრძოლის შედეგები შეიქნა უმნიშვნელო საჭირო სახსარის უქონლობის გამო. აუცილებლად საჭიროა მთელი მოსახლეობისათვის ხინის დარიგება უფრო ციებ-ცხელებიანი რაიონებში მაინც, რისთვისაც საჭიროა 12,000 კილო ქინაქინა, ამ წლის ივლისის დამლევს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადადებული სახსარით გაგზავნილი იქმნა ყარაიაზის, თელავის, ალაზანის, რიონის, გურიის და ზუგდიდის რაიონებში მალარიასთან მებრძოლი ექსპედიციები. გარდა ამისა გაგზავნილი იქმნენ საჭირო რაიონებში საეპიდემიო რაზმები.

ამა წლის მაისიდან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გაცემულია სულ 350 კილო ხინა, რომელიც მიეცა პროვინციის ჯანმრთელობის განყოფილებებს და მალარიასთან მებრძოლი ექსპედიციებს ავადმყოფებისათვის უფასოდ დასარიგებლად.

**მდინარე ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრება.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ქუთაისის საწყობიდან მიეცეს აუცილებელი საჭირო მასალები მდინარე ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრებისა და დიმის სარწყავი არხის გაყვანისათვის.

**დაზიანებულ შენობათა შეკეთება ბორჯომში.** ბორჯომში ხიდრით დანგრეული ზოგიერთი შენობათა აღსადგენად განსაკუთრებული კომისიის მიერ შედგენილი იქმნა ხარჯთაღრიცხვა 1,300,000,000 მან. რაოდენობისა. ამ თანხის ანგარიშში სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაცემულ იქმნა 300,000,000 მან, ხოლო რამოდენიმე ნაწილი დახარჯული იქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახსარიდან. მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და თუ მოკლე დროში არ იქმნა მიღებული ზომები მისი დასამთავრებლად, ამ შემოდგომაზე მოსალოდნელია ხელ ახლა წყალდიდობისაგან დიდი ზარალი. ამის გამო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მის განკარგულებაში ბორჯომში დაზიანებულ შენობათა აღსადგენად გადადებულ იქმნეს 200,000 000 მანეთი.

**საფეიქრო ქარხანა ქუთაისში.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ მიიღო ცეკავშირისაგან მოსკოვიდან ჩამოტანილი საფეიქრო ქარხანა, რომელიც გადატანილი უნდა იქმნეს ქალაქ ქუთაისში. აღნიშნული ფაბრიკის მოწყობილობის ქუთაისში გადასატანად შედგენილია 12,500 (ოქროთი) ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოდგენილია სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად.

**იუსტიციის სახალხო კომისარიატის შტატების გადიდება.** სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის ა/წ აგვისტოს 7-ს დებულებისა (მუხლი 3) ყოველ მაზრაში არსდება სამაზრო მიწის საკითხების განმხილველი კომისია, რომელშიაც იუსტიციის სახალხო კომისარიატმა უნდა დანიშნოს თავისი მუდმივი წარმომადგენელი. ამის გამო იუსტიციის კომისარიატი შუამდგომლობს გადიდებულ იქმნეს მისი მტკიცე შტატი 13 კაცით.

# ჩვენი კურორტები

(დასასრული)

მანგლისი ერთ ერთი კლიმატიური პირობებით შესაფერ კურორტათ უნდა ჩაითვალოს, რომელიც მდებარეობს ზღვის პირიდან 1204 მ. სიმაღლეზე და ტფილისიდან 60 ვერსის მანძილზე. შესაფერ მუშაობის შემდეგ მანგლისი იქცევა არა მარტო კარგ საზაფხულო კურორტად, არამედ საზამთრო კლიმატიურ სადგურადაც. გარდა დასახლებული ადგილებისა, ჩვენი ქალაქების საერთო რიცხვიდან 25 პროც. სეკურორტოთ არის გამოსადეგი. თავიანთი ბუნებრივი მდებარეობით მათ აქვთ ღირსება გახდნენ საკურორტო სადგურები და კლიმატიური პუნქტებათ, რომელიც აყვავებს მათ ეკონომიურად და გააჯანსაღებს ფიზიკურად. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი დედა ქალაქი ტფილისი განა კურორტი არ არის თავისი მშრალი ჰაერით და წყლებით? მაგრამ განა არ იცის, რომ თავისი ანტისანიტარული და მოუწყობელი ცხოვრებით,—უფრო ლოკ ეპიდემიების წინაღმდეგ აც ვერ დაიცავს თავი.

ლიდი მომავალი აქვთ საკურორტო ცხოვრების განვითარების მხრით ზაზმარის და რაჭის კლიმატიურ სადგურებს. ორთავე მათგანის დამახასიათებელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ფუნქციონებ. თუ კი ზაზმარის საკურორტო ცხოვრება წლიდან-წლამდი ვითარდება და იზრდება, რაჭის საუკეთესო საკურორტო ადგილები უყურადღებოთ არიან მიტოვებული და ადგილობრივ მნიშვნელობის გარდა, არავითარ სამსახურს არ გვიწევენ. რაჭა, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარი კუთხეა ჩვენში თავის მრავალრიცხოვანი მინერალური წყლებით, წარმოადგენს ერთ დიდ კურორტს, რომელსაც არ შეხებია ადამიანის ხელი გამოსაყენებლათ. ამის უდიდეს მიზეზათ რაჭაში გზის უქონლობა უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი კურორტების,—რომელთა რიცხვი ერთი გლეხი ნაკარიშებით 188 უდრის,—ნაყოფიერი გამოყენება უდიდეს ეკონომიურ პერსპექტივებს უშლის წინ სახელმწიფოს და ხალხს. ჯერ მარტო ჩვენი მინერალური წყლების გამოყენება და ნაყოფიერი მათი ექსპორტი,—ერთ მძლავრ ეკონომიურ საქმიანობას წარმოადგენს ჩვენში. ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში დათვლილია 160-მდე მინერალური წყარო არის, რომელთაგან ყველაზე ცნობილი არიან: ბორჯომი, წყალტუბო, უწერა, ლაშიჩეთი, კობის ნარზანი, წ-დვერი, ახალციხის და მცხეთის წყაროები, აბასთუმნის ტბალახი, ცხრაჯვარის გოგირდის წყლები და მრავალი სხვა. ამათგან მხოლოდ ბორჯომის წყალს აქვს მოპოვებული საერთო მნიშვნელობა და დანარჩენთ კი ადგილობრივი ხასიათი; ამ რამოდენიმე წლის წინათ რაჭის ეროობამაც სცადა უწერის წყლის ბოთლებში დამზადება და ბაზარზე გამოტანა,—მაგრამ აქაც მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი გზის

უქონლობა და ტექნიკური მოუწყობლობა იყო.

როგორ არის ამ მრავალრიცხოვანი კურორტების გამოყენების საქმე ჩვენში? მინერალური წყლების ექსპლოატაცია ნაწილობრივ კერძო მოიჯარადრეებს აქვთ ხელში; რომელთა მიზანს სრულებით არ შეადგენს მათი მოწყობა და გაუმჯობესება. კურორტების მხრივ კი კერძო საკურორტო სეზონის მუშაობასთან ერთად სახელმწიფომაც გახსნა სანატორიუმები თავის მუშა-მოსამსახურეებისთვის, მაგრამ ის მაშტაბი, რომლითაც გამოყენებული იქნა კურორტები ამ მხრით ძალზე მცირეთ უნდა ჩაითვალოს, რაშიაც ალბათ უდიდესი დანაშაული უსახსრობას მიუძღვის. ჩვენ გვაქვს მცირეოდენი ცნობები ბორჯომ-აბასთუმნის რაიონის სანატორიუმების მუშაობის შესახებ. სულ წელს სანატორიუმებში სხვა და სხვა ვადით გატარებულა 577 ავადმყოფი, რომელთაგან ბორჯომში იყო—135, აბასთუმანში—224, ცემში—64, წაღვერში—134. ამ ავადმყოფთაგან უდიდესი პროცენტი მოდის ტუბერკულიოზით დაავადმყოფებულებზე, რომელიც შეადგენს 56 პროც. და მალარიით (10 პროც.), ნევრასტენიით (10 პროც.) და ანემიით (10 პროც.). ამათ რიცხვში იყვნენ:

| | |
|---|---|
| ფიზიკურათ მომუშავენი | —22 პროც. |
| გონებით " | —68 პროც. |
| სამხედრო პირები | — 3 პროც. |
| დანარჩენები (ბავშვები ტ. სხ.) | 7 პროც. |
| | 100 პროც. |

ავადმყოფნი სხვა და სხვა ვადით იყვნენ გაგზავნილი კურორტზე და უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ვადა ხშირათ ძალზე მცირე იყო. ეროვნული შემადგენლობის მხრით ავადმყოფნი წარმოადგენენ:

| | |
|---|---|
| ქართველები | —54 პროც. |
| რუსები | —20 პროც. |
| სომხები | —18 პროც. |
| დანარჩენნი | — 8 პროც. |
| | 100 პროც. |

ავადმყოფები გამოგზავნილი იყვნენ: საქართველოდან—87 პროცენტი, დანარჩენნი კი რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბეიჯანიდან და აფხაზეთიდან.

საკურორტო სეზონი მოხსნილი იქნა 7 ივლისს, რაც ძალზე დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს. ამის მიზეზი ერთი მხრით მაში უნდა ვეძიოთ, რომ სანატორიუმები ტექნიკურად მოუწყობელი იყვნენ და ამას დიდი დრო მოუნდა. სეზონი დახურული იქმნა 27 სექტემბერს ოფიციალურად,—თუმცა ავადმყოფების დიდი უმრავლესობა ამ დროზე უფრო ადრე იქნა გამგზავრებული.

ავადმყოფთა უზრუნველყოფის მხრით საქმე ვერ იყო ხეირიანად დაყენებული; თუ კი მედიცინის მხრით ყოველმხრივ იყო უზრუნველყოფა, კვება ვერ სწორდებოდა რიგიანათ, რაც მეტად ცუდათ მოქმედებდა ავადმყოფების გამოჯანსაღებაზე, ავადმყოფთა საერთო რიცხვიდან უკეთ შეიქნა 89 პროც., რომელთა შორის მაქსიმალური მომატება 26 გირვანქას უდრიდა, ხოლო საშუალო 5—6 გირ.

ასეთი იყო დაახლოებით წარმოებული საკურორტო ცხოვრება ბორჯომ-აბასთუმნის რაიონის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანატორიუმებში, რაც ეხება გარეშე წყლითა ზღვაში იმ ავადმყოფობათა რიცხვთან შედარებით, რომელიც მოდებულია ჩვენს დაბა-ქალაქებში და სოფლებში. გარდა სანატორიუმებისა, წელს განსაკუთრებულ სიცხოველეში იყო კერძო საკურორტო ცხოვრება: თითქმის ყველა კურორტი ავსილი იყო მოაგარაკენით. ცხადია, ფართო მასებს არა ჰქონდათ საშუალება შესაფერისად ესარგებლნათ და სახელმწიფოს უდიდეს მოვალეობას შეადგენს ამ მხრივ მათთვის მუშაობა. წელს ჩვენს კურორტებში ადგილი ჰქონდა საბინაო კრიზისს და თუ არა შეძლებულთათვის არ იყო საშუალება კურორტით სარგებლობისა. მოვალეობისათვის ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. თუ მას ფართო მუშაობა და აღმშენებლობა ვერ გაგვიწევია საკურორტო საქმეში, ის მაინც უნდა შევიძლოთ, რომ იაფი და უფასო ბინები მოვაწყოთ ჩვენ დაავადმყოფებული მუშა-მოსამსახურეთათვის. წელს იმდენად გაძლიერებული იყო სპეკულიაცია ბინებით, რომ იყო შემთხვევა, როდესაც ერთ ოთახში 20—25 მილიონს აძლევდნენ; რასაკვირველია ასეთ პირობებში ზედმეტი არის ლაპარაკი ჩვენს გაძვალტყავებული მუშისა და მოსამსახურის მიერ კურორტებით სარგებლობისა. ჩვენში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი რომ სრული უზრუნველყოფით ავადმყოფთა აყვანას არ გაუკეთებს, რაც სინამდვილეში ვერც შესრულდა,—უფასო და იაფი ბინები მაინც უნდა მოიწყოს მომავლისათვის.

საკურორტო აღმშენებლობის მხრით წელს ჩვენს კურორტებში თითქმის არა გაკეთებულა რა. სხვას რომ თავი დავანებოთ, უბრალო სანიტარული და ჰიგიენური პირობებიც კი არ იყო დაცული იმ დროს, როდესაც მოაგარაკეთ ხარკიც კი გადაახდევინეს. ამაში ბრალი ადგილობრივ ხელისუფალთ მიუძღვით, რომელნიც ოდნავ მზრუნველობასაც ვერ იჩენდნენ ამ მხრით.

ჩვენი კურორტების მდგომარეობის ოდნავი თვალის გადავლებით,—ნათელი უნდა იქნეს ის გზა, რომლითაც საჭიროა მომავლისთვის მუშაობის წარმოება. სახელმწიფოებრივი ხასიათის დაწესებულებათა მუშაობის გარდა—საჭიროა კერძო კაპიტალის ჩაბმა ამ უდიდეს საქმეში. ახალი ეკონომიური პოლიტიკა სრულ უფლებას გვაძლევს საკონცესიო ხელშეკრულებანი გამოვიყენოთ ამ მიზნისათვის. პარალელურად ამისა საჭიროა მუშაობა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებისა. მთავარი რაც არის,—ეს გზების გაკეთება არის და მიმოსვლის გაადვილება. ჩვენი ჯანმრთელობის უწყება მუშაობას ზაფხულის შუა თვეებში კი არ უნდა შეუდგეს, როგორც ეს წელს იყო, არამედ ზამთრიდანვე, წინასწარ შემზადებული გეგმით. ეს მით უფრო სასარგებლო იქნება, რომ მუშაობის თანდათანობითი წარმოება საქმეს გაადვილებს. ვეცადოთ ისე გამოვიყენოთ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე, რომ ეკონომიურათ დოვლათი და ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა ჩვენ სავე სასარგებლოდ დატრიალდეს.

გ. გ.—ძე.

# მოწერილი ამბები

## ასკანა

(ოზურგეთის მაზრა)

პროვინციის შესახებ ძალიან ცოტას სწერენ. ასე იყო ძველადაც. ეხლა თუ შეხვდებით რომელიმე წერილს ამა თუ იმ კუთხიდან, გაიგებთ:—სად გაიმართა მიტინგი, ვინ ილაპარაკა, ვის გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშები და ამით ამოიწურება ყველაფერი.

თუ როგორი არის სოფლის კულტურული ვითარება, რა მდგომარეობაშია სკოლები, გზები, სამკითხველოები, ტარდება თუ არა პროვინციაში სასწორით საბჭოთა წყობილების პრინციპი, ამის შესახებ ძლიერ იშვიათად და მკრთალად მოდის ცნობები. უმჯობესი ცნობების ამოკრეფა პროვინციის ცხოვრებიდან, განსაკუთრებით უარყოფით მოვლენების აღნუსხვა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმ შეცდომების გასასწორებლად, რომლებსაც ზიანი მოაქვს ხალხისათვის.

დღევანდელ ჩემ წერილში ვლაპარაკობ გურიის ერთერთ სოფელზე—სახელდობრ ასკანაზე. მე არ მინდა ამით ვთქვა, რომ თითქოს ყველგან ისე ბრუნდებოდეს მოქმედებენ, როგორც ასკანის დღევანდელი ხელმძღვანელები, მაგრამ იმ შეცდომაზე ხმის ამოღება, რომლებმაც მთელი ასკანა აალაპარაკა, საჭირო კი არის. ეს არის სკოლის და სამკითხველოს საკითხი.

ასკანაში არსებობდა ორკლასიანი სამეურნეო და საქალებო სასწავლებლები, რომლისაც გაიხსნა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, განთავისუფლდა საქალებო სკოლის ოთხოთახიანი ხის შენობა დროებით შიგ მოთავსდა გვაზრათის პირველდაწყებითი სასწავლებელი.

ამავე ხანებში ასკანამ შეიძინა დიდი შენობა სოფლის სამართველოსთვის და ყოფილი სამმართველოს შენობაც განთავისუფლდა. ორივე ეს შენობა და მესამეც სამკითხველოსი ასკანის ყრილობის დადგენილების თანახმად უნდა მოხმარებოდა სახალხო სახლს, რომლის აგება დიდი ხანია გახზრახული იყო. ჩვენ ვფიქრობდით, თუ მეტს არა, ადგილობრივი ხელისუფლება შესძლებდა მამასახლისების დროს შეძენილ ქონების მოვლა პატრონობას და დაზიანებულ შენობებს გადაარჩენდა დალპობისაგან. სინამდვილეში სულ სხვა მ ვიდეთ, სამართველოს შენობა სხვა ადგილას გადატანილი, ნახევრად დაშუშულია და ლპება, ჰკრის და იატაკის ფიცრები აღმასკომს მოუხმარია როგორც სათბობი მასალა შეშის მაგიერ. ყოფილი საქალებო შენობა გადატანილ მთის პირში და ეს მოვლენა სწორეთ, რომელიც იწვევს ხალხში დიდ უკმაყოფილებას და მითქმა-მოთქმას. შენობის გადატანა მიამხედარა საბჭოს დადგენილებით და იქ იქმნა შენიშვნაც არის, «თუ პარტიზანები იქნება ფიჩხის ჯვარის და ვ ნის ქედის მხრივ, პასუხს აგებს აღმასკომი». გვაზრათი ცენტრია ასკანის თემის, შენობა აგებულია გვაზრათის, ფიჩხის ჯვრის. ვანის ქედის მთის პირის და ოქროს ქედის ბარჯზე. ძველად ამ შენობით ყველა უნდა სარგებლობდა, სახალხო ყრილობის დადგენილებით, (რომელსაც დიდ ნდობას უ ხ - დენ ადგილობრივი კომუნისტები) უნდა მოხმარებოდა სახალხო სახლს, რომელიც ყველა უბნისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, და ასკანის საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც შენობა ერთ უბანს მიაკუთვნეს, სახალხო სახლის საქმე უკან დასწიეს, ლაპარაკობს «პასუხს აგებს აღმასკომი» რით ან ვის წინაშე აგებს პასუხს აღმასკომი? ხალხი უკმაყოფილოა, ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ: «ყველა კომუნისტი მთის პირელია და კლასი წაგვართვესო» და მათი მოქმედება მზის სინათლეზე გამოტანილი, აგრე პასუხი, იმართლონ თავი ხალხის წინაშე. მთის პირის პირველდაწყებით სასწავლებლის საჭიროებაში ეჭვი არ შემდის, მაგრამ გვაზრათის მდგომარეობაც ხომ ასეთივეა? ტყის მასალით მდიდარ მთის პირში უფრო ადვილად შეიძლებოდა ახალი ხის შენობის აგება თუ გვაზრათში?

აღსანიშნავია ერთი გარემოება, მთის პირს ცნობილი მენშევიკები (ცნობილი რასაკვირველია ასკანის მაშტაბში) აქტიურ მონაწილეობას იღებდენ შენობის «რევოლუციონურად» გადატანაში. მენშევიკები ხერხიანათ მოიქცნენ—შენობაც ახლოს მოიტანეს, ხალხიც აალაპარაკეს კომუნისტების წინააღმდეგ. ჩვენ კომუნისტების წინააღმდეგ, ვინაიდან ყოველივე მოქმედებაში პასუხს აგებენ კომუნისტები. ასეთი დიდი შეცდომა არის ჩადენილი. ძალიან მორიდებულად რომ ვსთქვათ, ამას ეწოდება შენობის უჩალურად მოტაცება და ასეთ მოვლენებს სამზღვარი უნდა დაედვას. ასკანის ურაპოლიტიკოსების უფროსმა ამხანაგებმა ყურში უნდა ჩასძახონ, რომ ასეთი მოუფიქრებელი და ახირებული ნაბიჯები ხალხს დააფრთხობს და საქმეს გააფუჭებს....

(დასასრული იქნება).

ფეხმარდი.

# თეატრი და მუსიკა

## ქართული დრამა—სეზონის გახსნის წინ.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსთაველის თეატრის კარები გაიღება და ქართული დრამაც დაიწყობს თავის საზამთრო სეზონს. წელსაც ქართულ დასს მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა თეატრს ბორკავს ნივთიერად. თეატრალური საქმიანობა კი ყოველთვის დიდ საზომს, დიდ ამპლიტუდას თხოულობს რომ თავისი მიზანი, იდეური მისწრაფებანი განახორციელოს. მიუხედავად დღევანდელ ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობისა, თეატრის მესვეურები მაინც არ შეუშინდნენ არსებულ პირობებს და ქართული დასი შეადგინეს.

ჩვენ ვერ ვიტყვით რომ დასის შემადგენლობა სუსტი იყო, მაგრამ მას ერთი დიდი ნაკლი აქვს ან და მხედველობაში არ მიუღიათ ერთი რამ. დღევანდელი ქართული დასის შემადგენლობა მეტად დიდია. იქნება სხვა ეროვნებისთვის ეს დასი პატარაც იყოს, ვინაიდან მართლაც არსებობს ისეთი პიესები სადაც მომქმედნი პირები მრავალია და ბევრ მსახიობთა ძალას თხოულობს. მაგალითად შექსპირის დრამები. მაგრამ შეიძლება საშუალო რიცხოვან დასსმაც მოახერხოს მრავალ მოქმედებიანი პიესების დადგმაც. ჩვენი დასსი ხშირად ოც კაცს არ აღემატებოდა. დღეს დასში ირიცხება ორმოცდა ათ კაცზე მეტი თავისი რეჟისორებით, რეჟისორის თანაშემწენით, სუფლიორებით. მარტო ერთი რეჟისორთა კოლეგია შესდგება ხუთი კაცისგან. მსახიობთა შორის, ქალებიც და კაცებიც იმდენი არიან რომ ხშირად უროლებოდ და უსაქმოდ დარჩებიან, ვინაიდან შექსპირის პიესები ჩვენ სცენაზე მეტად იშვიათად იდგმება, წელიწადში ორჯელ ან სამჯერ და მომეტებულად კი მიდის პიესები ათი ან თორმეტი მომქმედნი პირებნი. აქედან ორმოც კაცამდეს უნდა დარჩეს ისე და უცადოს ისეთ პიესის სადაც დასჭირდება მეტი მსახიობნი, ეს იმდროს, როდესაც პროვინციის თეატრები დაცალიერებულია არტისტიულ ძალებისგან. საკითხავია: რა საჭიროა დასის შემადგენლობის ასეთი მრავალრიცხოვნობა? იმ ნიადაგზე, რომ მსახიობნი ბევრი უროლებოდ და გულხელ-დაკრეფილნი დარჩებიან—უნდა არტისტთა შორის გაჩნდეს უკმაყოფილება და ინტრიგები, რომელიც უსათუოდ ძირს გამოუთხრის საქმეს. პროვინციის თეატრი კი დიდ გაჭირებაშია. ჩვენ ვიცით იმის მაგალითი, რომ დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია მიიწვიეს ქუთაისში დრამატიულ დასის ხელმძღვანელად, მაგრამ გუნია დღესაც ვერ ახერხებს ქუთაისში წასვლას იმ მიზეზით რომ მსახიობთა ძალა არა ჰყავს.

ვალერიან გუნიამ რუსთაველის თეატრიდან [illegible] ერთი მსახიობ ქალის, [illegible] აღსრულებელი, მაგრამ ვალ. გუნიას ამის ნებართვა არ მისცეს. ამ რიგად, შესაძლებელია წელს პროვინციაში ბევრგან დრამატიული სეზონი არ იყოს. ჩვენ გაზეთში ამის შესახებ აღვნიშნეთ და მიუთითეთ პროვინციის თეტრის გასაჭირზე.

ჩვენის აზრით წლევანდელი ჩვენი აკადემიური დასსი უსათუოდ უნდა შემცირდეს. ჯერ ერთი იმ თვალსაზრისით რომ ნივთიერად უფრო კარგა გაუძლევებიან დასს და მეორის მხრით კი პროვინციის თეატრებს საშუალებას მისცემენ ტფილისიდან გაიწვიონ მსახიობნი და მოაწყონ ადგილობრივ საზამთრო სეზონები. მივაქცევთ რა ამას დიდ ყურადღებას, საჭიროა, ვიდრე დაგვიანებული არა ეს დიდი საქმე მალე გაკეთდეს.

ის.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## ცირკულიარი

### ს. ს. ს. რ. სახ. განათლების კომისარიატს

განათლების განყოფილების გამგეობას.

თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკების განათლების კომისარიატის დადგენილებისა მღვდლები მასწავლებლები განთავისუფლებულ უნდა ყოფილიყვნენ სამასწავლებლო სამსახურისაგან ე სულ 1920—1921 სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე. მაგრამ ზოგიერთ კერძო შემთხვევებში სხვა და სხვა მიზეზების გამო კომისარიატის ნებართვით რამოდენიმე მღვდელი მასწავლებლები დატოვებულ იქმნა სამსახურში სამოსწავლო წლის ბოლომდის. იმავე კომისარიატის კოლეგიის ახალი დადგენილების თანახმად მიმდინარე სამოსწავლო წელში არც ერთი მღვდელი მასწავლებელი არ უნდა იქნის დატოვებული სამსახურში და ამიტომ გიხოვთ ყველა მღვდელ მასწავლებლები, სადაც კი ასეთები არიან დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოთ სამსახურიდან: სახალხო განათლების კომისარის მოადგილე

მ. ორახელაშვილი.

პროფ. განათ. მთავარ მართველობის გამგე

ნ მგალობლიშვილი.

რეფორმატორი—საჩივრის კოლეგია გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

# შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

## აცხადებს,

რომ იმ საჩივრების განსახილველად, ზედამხედველობის წესით, რომელიც ეხება ადგილობრივ გადასახადთა დეკრეტებისა და ინსტრუქციების დარღვევას, და, აგრეთვე, კომუნალური საგადასახადო კომისიების მოქმედების შესათანხმებლად, თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. 10 ივლისის № 37 დეკრეტისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან დაარსებულია ცენტრალური სათათბირო.

გადამხდელებს. რომელნიც არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი ადგილობრივ საგადასახადო კომისიების დადგენილებით მათზე შეწერილ გადასახადების გამო, უფლება ეძლევათ გაასაჩივრონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ საგადასახადო სათათბიროში ადგილობრივ საგადასახადო კომისიების საშვალებით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა

მმართველი: დ. ჩიქოვანი.

ცენტრალურ საგადასახადო სათათბიროს თავმჯდომარე

კომუნ. განყ. გამგე: ნანეიშვილი.

მდივანი: ი. იაშვილი.

384—3—2.

# კვირას, ოქტომბრის 15-ს დიდუბეში იპპოდრომზე გაიმართება დოღი

(скачка)

დასაწყისი დღის 1 საათზე.

ამ დღისათვის ივლის ტრამვაის ვაგონები, არის ტოტალიზატორი და ბუფეტი. 2—1

# ტფილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ 17 ამა ოქტომბერს დღითი 12 საათზე

## დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

მალაკნის მოედანზე და ნუნუფაროვის ეზოში მდებარს სასწორებზე.

კონდიციის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საიჯარო მაგიდის გამგესთან დარახველიძესთან.

59—6—3

ტირაჟი 1000

საქართვ. უმაღ.-მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.